

ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **მარლენ ლაბაძე**

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს წევრი

საანგარიშო პერიოდი: - 2015 წელი

კომისი(ებ)ის დასახელება: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტოკომისიის და საკრებულოს
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის წევრი

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა -30 სხდომა (12 რიგითი და 18 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 30 სხდომა

- სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 40 სხდომა

კომისიის სხდომებზე დასწრება:

- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტოკომისიის მიერ ჩატარდა 27 სხდომა

დავესწარი - 25 სხდომას

- სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ ჩატარდა
13 სხდომა

დავესწარი - 13 სხდომას

- საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

ქ. რუსთავის N 8 საარჩევნო ოლქში, 2015 წელს გატარებული ღონისძიებები

(ი. ჭავჭავაძის სახელობის მუნიციპალიტეტი)

1. კეთილმოეწყო ტაშკენტის ქ. N5 მიმდებარე ტერიტორია. (მოასფალტება, სანიაღვრე სისტემები).
2. დამონტაჟდა ექვსი ბავშვთა გასართობი მოედანი.
3. 16 კორპუსს ჩაუტარდა სახურავის (რბილი) შეკეთება.
- 3ა. მესხიშვილის N6 კორპუსში მე-9 სართულის მოსახლის თხოვნით მოხდა ჩამოშლილი აივნის აღდგენა.
4. მოასფალტდა და კეთილმოეწყო შარტავას ქუჩაზე N11 ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია.
5. რუსთავის კორპუსის მიერ ჩატარდა 6 ბინის შიდა წყალკანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია.
6. 4 კორპუსში გამოიცვალა წყალსადენი მილები (ჟოლობები).
7. რუსთავის კორპუსის მიერ, თანადაფინანსებით ჩატარდა 4-სადარბაზოს შესასვლელების რკინა-ბეტონის კონსტრუქციების შეკეთება.
8. დახმარება გაეწია (მედიკამენტებით) 300-ზე მეტ მოქალაქეს.
9. სამკურნალო - საოპერაციო თანხებით დახმარება გაეწია 90-ზე მეტ მოქალაქეს.
10. სისტემატიურად ხდებოდა მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დახმარება - 18 ოჯახი.
11. აუტიზმით დაავადებულ ორ ბავშვს გაეწია დახმარება მერიის სოციალური სამსახურის პროგრამის ფარგლებში.
12. ოთხმოც მოქალაქეს გაეწია რეკომენდაცია - კომპანია „ასფენ“-ში გაზსადენის გაფართოების პროექტში დასაქმებასთან დაკავშირებით, აქედან დასაქმდა - 20 მოქალაქე.
13. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიტანილია და დარგულია 20 მისამართზე - 300 ძირი ნარგავი.

14. შეიცვალა სანაგვე კონტეინერები ძველი - ახლით, მიახლოებით 20 მისამართზე.
15. ქალაქის საკრებულოს მიერ შესწავლილი იქნა ლეონიძის ქ. მწვანე ზოლის გასხვისების საკითხი, რომელიც მოსახლეობის მიერ ინტენსიურად ისმებოდა წინასაარჩევნო პერიოდის დროს.
16. საკრებულოს ინიციატივით, მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მოწვეული იქნენ რუსთაველის, ენერგოპროს და სოკარ გაზის სპეციალისტები და ადგილზე ლოკალურად მოხდა პრობლემების შესწავლა-განხილვა.
17. რუსთაველის მიერ მიახლოებით 30 მისამართზე მოხდა და დღესაც გრძელდება საკანალიზაციო სისტემების სპეციალური მანქანით („კაპელოტი“) გაწმენდა.
18. რამდენიმე კორპუსში ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები ბუნებრივი აირის და წყლის ატმოსფერული წნევის მოსამატებლად.
19. მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით, ი. ჭავჭავაძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ჩატარდა 50-ზე მეტი შეხვედრა მოსახლეობასთან, აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად გამოთქმულ შენიშვნებს, მოსახლეობის სურვილებს, მაჟორიტარი რეგულარულად მიაწოდებდა, როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად ქალაქის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის, რომელთა გათვალისწინება თითქმის სრულად მოხდება 2016 წლის ქალაქის ბიუჯეტში.